

წარმოდგენა და ფინალობის ანალიტიკა ფუკოს  
ეპისტემოლოგიაში



დავით წერეთელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე  
ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე

სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

დავით წერეთელი

27.06.2017

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ფუკოსთან ეპისტემეს თეორიაში წარმოდგენილი ძირითადი, კონცეპტუალური თემები, ადამიანის, ფინალობის ანალიტიკა ანუ სუბიექტის ფუკოსეული თეორია და იმ ტიპის დისკურსები, რომელიც წარმოდგენის ანალიზს ეფუძნება და საერთოდ ფუკო ემპირიული სინამდვილის შემეცნების უნარებს ახლიდან გადასინჯავს. ეს შეხედულებები თავის სათავეს იღებს კანტის მიერ წარსულის ხედვის კრიტიცისტული კითხვიდან, მაგრამ ამიერიდან ყურადღება გადატანილია ბუნების ცოდნიდან ადამიანის შემეცნების შესაძლებლობებამდე. ამ შემთხვევაში ნაშრომის მიზანია აჩვენოს სუბიექტის თეორიის დაფუძნებიდან ფუკოს ფინალობის ანალიტიკამდე და შემდეგ პერიოდში წარმოდგენის, როგორც ცოდნის ყველაზე იმანენტური პროცესის, ინსტრუმენტის ახალი შესაძლებლობები და შეზღუდვები. რა როლი აქვს ახალ ანალიტიკას ადამიანის შესახებ ცოდნის, მეცნიერებების ემპირიული შინაარსების გადასასინჯად. ნაშრომში ძირითად ლიტერატურად გამოყენებულია ფუკოს „სიტყვები და საგნები“, დეკარტის „მეტაფიზიკური მედიტაციები“, ასევე მნიშვნელოვანი ტექსტია „მსჯელობა მეთოდის შესახებ“.რაც შეეხება ნაშრომის აქტუალობას, ისეთი საკითხებით დაინტერესება, როგორიცაა ადამიანის ექსისტენციალური, პირველადი სიტუაციების მიმართება საკუთარ თავზე წარმოდგენის, რეფლექსიის და სინამდვილის წვდომის შესაძლებლობებთან არასდროსაა ინტერესს მოკლებული, როგორც აკადემიურ სივრცეში, ისე ნაკლებად სპეციალიზებული ფართო აუდიტორიისათვის. ფუკო ოცდამეერთე საუკუნეშიც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მნიშვნელოვანი თეორეტიკოსია. ფუკო პოპულარულია საქართველოშიც, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომის ინსპირატორი ტექსტის „სიტყვები და საგნების“, თუ არ ჩავთლით ეპისტემეს ზოგად კონცეფციას, მთელი რიგი საკითხები ჩვენს კრიტიკულ სივრცეში ერთგვარად განზე დატოვებული ჩანს. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ჩემი მოკრძალებული მცდელობა, შეძლებისდაგვარად ვისაუბრო ამ საკითხების და პრობლემების ირგვლივ და სხვა თუ არაფერი ჩემთვის მაინც დავიზუსტო ზოგიერთი საკამათო და ბუნდოვანი მომენტი ფუკოს ნააზრევში.

## **abstract**

The major conceptual issues, presented in Foucault theory of episteme, are discussed in the following thesis. These issues concerns the analytics of finality of a human, or in other words the theory of a subject by Foucault and such discourses, which are based on the analytics of perception and in overall Foucault remeasures the skills of cognition of empirical reality. These viewpoints take its origins, from the criticized questioning of the vision of past by kant, but from now, the attention is driven from the knowledge of nature on the human possibility of cognition. In this case, the thesis aims to reveal the new opportunities and restrictions of perception, as the most immanent process of knowledge, from the foundation of theory of a subject, till the analytics of finality by Foucault and the next period. What role plays the new analytics in revision of the knowledge about a human and empirical contents of sciences? The thesis majorly is based on the material of Foucault's "Words and Things",' Descartes 'metaphysical meditations', and also it is important to mention the 'Discourse on the Method'. As for the relevance of the following thesis, the issues of the relation of human's existential, primary situations to the perception of self, self-reflection and understanding of the reality, is widely discussed not only in the academic society but also in wider audience. Foucault represents himself as one of the most influential theorist of 21th century. Foucault's popularity is widely acclaimed also in Georgia. Meanwhile, the major list of issues, except from the general concept of 'Word and Things' episteme, are not widely discussed. The novelty of the thesis is my modest attempt to discuss these issues and somehow to clarify some of the obscurant and controversial points in Foucault's works.